საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვაჭაძე ირინე დავითის ასული

კვაჭაძე ირინე დავითის ასული (დ. 5. II. 1962, თბილისი), ფიზიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (1999).

1984 დაამთავრა თსსი და მუშაობა დაიწყო ამავე ინ-ტის ფიზიოლოგიის კათედრაზე. 1997–2006 იყო კათედრის პროფესორი, 2006–14 – სრული პროფესორი; 2004-იდან დღემდე არის თსსუ-ის ფიზიოლოგიის დეპარტამენტის, 2009-იდან კი – ამავე უნ-ტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

კ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, მ. შ. 1 მონოგრაფია და 2 სახელმძღვანელოა. მისი სამეცნ. კვლევის ძირითადი სფეროა ადამიანის ორგანიზმის ვეგეტატიური ფუნქციების რეგულაციის საკითხები სხვადასხვა დატვირთვის პირობებში.

თხზ.: ვაჟების ვეგეტატური სარეგულაციო მექანიზმების თავისებურებები სუსტი ინტენსივობის გარემო ფაქტორთა ზემოქმედების დროს, თბ., 2005; ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები, თბ., 2009, 2013; ადამიანის ფიზიოლოგია, თბ., 2014.